ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლანა მეზურნიშვილი

სოციალური საკითხების გაშუქება ქართულ ონლაინ მედიაში (ონლაინ მედია საშუალებების - “ნეტგაზეთის”, “ლიბერალისა” და “ტაბულას” 2016 წლის პუბლიკაციების შინაარსობრივი ანალიზი)

სამაგისტრო პროგრამა “მედია და ახალი ტექნოლოგიები”
სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : მაგდა მემანიშვილი,
ჟურნალისტიკის დოქტორი
თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

წინამდებარე თემის "სოციალური საკითხების გაშუქება ქართულ ონლაინ მედიაში" მიზანია დადგინდეს: რამდენად ხშირად და სიღმისეულად აშუქებს ჩვენ მიერ შერჩეული ინეტერნეტ გამოცემები სოციალური სახის პრობლემებსა,თუ საკითხებს. ყველა სოციალური თემის გაშუქებას თანაბარი ყურადღება ეთმობა თუ არა, რამდენად მრავალფეროვანია თემატიკა და, ასევე, რომელ სოციალურ საკითხებს აშუქებს ჩვენი ონლაინ მედია ყველაზე უფრო ხშირად.

კვლევის საგანია ონლაინ მედია გამოცემების: „ლიბერალის" , „ტაბულასა" და „ნეტგაზეთის" ვებ გვერდები. საკვლევი პერიოდია 12 თვე (2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე). სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ შინაარსობრივი ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი მთოდები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ"ნეტაგზეთს" თანაბრად აინტერესებს განათლების საკითხები და ადამიანის სოციალური უფლებების შელახვა, თითქმის ასეთივე ინტერესი აქვს ჯანდაცვის საკითხებისა და დასაქმება/უმუშევრობის მიმართ.

"ტაბულა" სიხშირის თვალსაზრსით სოციალურ საკითხებს ყველაზე უფრო ნაკლები ინტენსივობით აშუქებს და აქაც თანაბარ ყურადღებას უთმობს როგორც ადამიანის სოციალური უფლებების შელახვას, ასევე - განათლებისა და ჯანდაცვის საკითხებს. "ტაბულას" ინტერესის სფეროში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხებიც მოექცა.

თემატური პრიორიტეტის თვალსაზრისით "ლიბერალს" ყველაზე მეტად ჯანდაცვის საკითხები აინტერესებს, შემდეგ ადამიანის სოციალური უფლებების შელახვა და განათლება. უმუშევრობა/დასაქმებას "ლიბერალიც" ნაკლებ ყურადღებას აქცევს, სოფლის მეურნეობის შესახებ კი, "ნეტგაზეთის" მსგავსად, "ლიბერალს" არც ერთი პუბლიკაცია არ გამოუქვეყნებია.

მსგავსებებში ყველაზე მკაფიო ტენდენცია ისაა, რომ სოციალურ თემატიკაზე წერისას არც ერთი გამოცემა არ იყენებს დისკრიმინაციულ გამონათქვამს, ანდა - დამოკიდებულებას. მასალების უმრავლესობა დაბალანსებულია, განსხვავების კუთხით ცალსახა განსხვავება დაფიქსირდა "ლიბერალის" სარედაქციო პოლიტიკაში. ეს გამოცემა არ ლიდერობს სოციალურ თემაზე მომზადებული ჟურნალისტური

მასალების ოდენობით (ამ მხრივ ლიდერი "ნეტგაზეთია"), თუმცა წყაროთა მრავლფეროვნების კუთხით "ლიბერალი" ცალსახად პირველობს. ჟურნალისტური მასალის ე.წ. გმირი (სამუშაოს მაძიებელი, სტუდენტი, მოსწავლე, ჯანრთელობის პრობლემის მქონე პირი...) "ლიბერალში" ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება. ეს გამოცემა, დანარჩენ ორ გამოცემასთან შედარებით, ყველაზე ხშირად ციტირებს სოციალურ თემატიკაზე მომზადებულ კვლევებს და რეპორტიორებს ამ გამოცემაში გაცილებით მეტი ძალისხმევა აქვთ დახარჯული საჯარო უწყებებიდან კომენტარის მოპოვებისთვის.

მაშასადამე სოციალურ თემატიკაზე მასალების გამოქვეყნების სიხშირით "ნეტგაზეთი" გამოირჩევა, წყაროთა სიუხვითა და მრავლფეროვნებით - "ლიბერალი", "ტაბულა," კი ყველაზე უფრო იშვიათად და მშრალად აშუქებს სოციალურ თემებს.

Annotation

Coverage of social issues in Georgian media

(Content analysis of 2016 year publications of Online Media Outlets - "Netgazeti", "Liberali" and "Tabula")

Author: Mezurnishvili Lana

The aim of the foregoing topic “Coverage of social issues in Georgian media” is to determine: how often Internet Publications selected by us cover the social problems or issues; Whether coverage of all the social issues is paid equal attention to or not; How the subject varies and also, which social issues are covered by our Online Media most frequently.

The subject of the research is web pages of Online Media Publications: "Liberali", "Tabula" and "Netgazeti". The study period is 12 months (from January 1, 2016 until January 1, 2017). While working on the Master's work, we have used quantitative and qualitative methods of content analysis.

The research has revealed that"Netgazeti" is equally interested in educational issues and social human rights violations;It has almost the same interest in health care and employment/ unemployment.

In terms of frequency, "Tabula" covers social issues with the least intensity and here too it pays equal attention to social human rights violations, as well as the educational and health issues. Agriculture related issues have also come to the interest of "Tabula".

In terms of thematic priority, "Liberali" is most interested in healthcare issues, then social human rights violations and education. "Liberali" draws less attention to "unemployment/employment", too. "Liberali" did not publish any publications about agriculture, like Netgazeti.

The most obvious tendency in similarities is that while writing on the social subject, none of the publications use discriminatory expression or attitude.

The majority of the materials are balanced. In terms of difference, the unequivocal difference was observed in the editorial policy of "Liberali". This publication is not a leader in the amount of journalistic materials prepared on social issues (in this regard, the leader is "Netgazeti"). However, in terms of diversity of the sources, "Liberali" uniquely leads. So-called hero of the Journalistic Material (job seeker, student, pupil, person with health problems...)is most frequently found in "Liberali". This publication most frequently cites the researches prepared on social issues compared to the other two ones and in this publication reporters have made much more effort to get a comment from public agencies.

Therefore, "Netgazeti" is distinguished with the frequency of publishing materials on social issues, and "Liberali" is distinguished by variety and abundance of the sources. "Tabula" covers the social issues most rarely and dryly.

სარჩევი

**შესავალი - - -

შესავალი

სოციალური საკითხების სიღრმისეული და ადეკვატური გაშუქება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ხარისხიანი და სანდო მედიის განვითარების პროცესში. სიღარიბე, უმუშევრობა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, გარემოს დაცვა, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების პრობლემატიკის ადეკვატური წარმოჩენა - ეს საკითხები კეთილდღეობის მქონე ქვეყნებისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მით უფრო დიდი დატვირთვა აქვს სოცაილური საკითხების გაშუქებას სოციალურად შეჭირვებულ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

სწორედ ამიტომ დავინტერესდით,თუ როგორ შუქდება სოციალური საკითხები ქართულ ონლაინ მედიაში. ამის დადასდგენად სამი ყველზე უფრო ცნობილი და ავტორიტეტული მედია პორტალი - "ნეტგაზეთი", "ლიბერალი" და "ტაბულა" - შევარჩიეთ.

კვლევის მიზანია დადგინდეს:რამდენად ხშირად და სიღმისეულად აშუქებს ჩვენ მიერ შერჩეული ინეტერნეტ გამოცემები სოციალური სახის პრობლემებსა, თუ საკითხებს.ყველა სოციალური თემის გაშუქებას თანაბარი ყურადღება ეთმობა თუ არა, რამდენად მრავალფეროვანია თემატიკა და, ასევე, რომელ სოციალურ საკითხებს აშუქებს ჩვენი ონლაინ მედია ყველაზე უფრო ხშირად.

მიზნის მისაღწევად გამოვკვეთეთ შემდეგი **საკვლევი კითხვები:**ქართული ონლაინ მედია, კერძოდ კი, ჩვენ მიერ შერჩეულ სამი მედია პორტალში(„ლიბერალი" , „ტაბულა" და „ნეტგაზეთი") ერთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციები

- რამდენად მრავალფეროვანია სოციალური თემატიკა და რა სოციალური საკითხები შუქდება?
- სოციალურ საკითხებზე მომზადებულ პულიკაციებში -ინფორმაციული მასალა ჭარბობს,თუ - ანალიტიკური?
- რამდენად სრულყოფილად, მრავალმხმრივად და დაბალანსებულად არის მომზადებული სოციალურ თემებთან დაკავშირებული ახალი ამბები?
- რამდენად ღრმად და საფუძვლიანად არის გაშუქებული სოციალურ თემატიკაზე მომზადებული ანალიზური ჟურნალისტური მასალები?

- რამდენად იცავს ჟურნალისტი ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებს? და თუ არ იცავს, მაშინ რა სახის დარღვევებს ვხვდებით?

კვლევის საგანია ონლაინ მედია გამოცემების: „ლიბერალის“ , „ტაბულასა“ და „ნეტგაზეთის“ ვებ გვერდები. საკვლევი პერიოდია 12 თვე (2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე).

კვლევის ჰიპოტეზა-ქართული ონლაინ მედია ხშირად არღვევს პროფესიულ სტანდარტებს ,მოვლენურად ინტერესდება ფაქტებით და არ იჩენს მუდმივ ,თანმიმდევრულ ინტერესს სოციალური პრობლემის საკითხების გაშუქების მიმართ.არ ებრძვის სტიგმას,სტანდარტების დარღვევის შედეგად ხელს უწყობს სტერეოტიპების დამკვიდრებას.

სამაგისტრო ნაშრომი შესავლისა და დასკვნის გარდა შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან - ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მეთოდი, კვლევის შედეგები. დასკვნის შემდეგ ვცადეთ მოკლედ ჩამოგვეყალიბებინა კვლევის ძირითადი მიგნებები და შეგვემუშავებინა შესაბამისი რეკომენდაციები.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო შრომაზე მუშაობისას დავამუშავეთ სოციალური საკითხების შესახებ არსებული რამდენიმე ქართულენოვანი წიგნი. გარდა ამისა, გავეცანით სხვადასხვა კვლევებს, რომლებიც ქართულ მედიაში სოციალური თემების გაშუქებას ეძღვნება და, არსით, ფაქტობრივად, მედია მონიტორინგის ანგარიშებია.გთავაზობთ ჩვენ მიერ მოძიებული დადამუშავებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას.

1.1. წიგნები

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიდა ოლიკო ციხკარიშვილის წიგნი **,,ჟურნალისტიკისგზამკვლევისოციალურისაკითხებისგაშუქებაში**[1].წიგნში მიმოხილულია ისეთი სოციალური საკითხების გაშუქების თავისებურებები, როგორიცაა სიღარიბე, უმუშევრობა, დასაქმება, განათლება, ჯანმრთელობის ქვეთემები (აივ ინფექცია შიდსი; ნარკოდამოკიდებულება და ალკოჰოლიზმი)„სრულიად გაერკვიეთ იმ საკითხებში ,რომლის შესახებაც წერთ.

ჟურნალისტებს ხალხის ინფორმირების შესანიშნავი შესაძლებლობა აქვთ.ამავე დროს,ისინი პასუხიმგებელნი არიან მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე.

ჟურნალისტებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ თანაგრძნობისა და მათ შეცოდებას შორის დიდი განსხვავებაა. თუ თანაუგრძნობთ, ეს ნიშნავს, რომ მათ, როგორც პიროვნებას აფასებთ, რადგან მათთან გისაუბრიათ, მათ გვერდით ყოფილხართ და საკუთარი თვალით გინახავთ მათი ცხოვრება. შეცოდებაში ყოველთვის არის ქედმაღლური დამოკიდებულების რაღაც ელემენტი, თითქოს თქვენ, ანდა ვინმე სხვამ, უკეთესად იცის, რა სჭირდებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.თუ თქვენი შეხედულებები, არაა თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, არამედ, მათ შესახებ სხვა ხალხის ნათქვამის საფუძველზე ყალიბდება, უფრო სავარაუდოა, რომ თქვენ, მათი შეცოდების გრძნობა გაგიჩნდათ.ამ შემთხვევაში, ვერ იქნებით მზად, რომ მათ შესახებ დაწეროთ“[2].

---

[1]ცისკარიშვილი ოლიკო, ჟურნალისტის გზამკვლევი სოციალური საკითხები გაშუქებში, თბილისი, 2017 წ.

[2]ცისკარიშვილი ოლიკო, ჟურნალისტის გზამკვლევი სოციალური საკითხები გაშუქებში, თბილისი, 2017 წ; გვ:64.

წიგნი ,,ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში“[3]

ემსახურება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების პოპულარიზაციას, რომელიც დააკმაყოფილებს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ სტანდარტებსა და ეთიკურ ნორმებს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გაშუქების შესახებ კონკრეტულ რჩევებსა და მითითებებს გვაძლევს სახელმძღვანელო, რომელიც სტუდენტებისთვის არის შექმნილი.

სახელმძღვანელო ინდივიდის პატივისცემისა და მისი უფლებების აღიარებისკენ მოგვიწოდებს. ,,ჟურნალისტები, პირველ ყოვლისა, აუცილებლად უნდა გაესაუბრონ თავად ბავშვებს, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, მისცენ მათ ხმის უფლება და არ დაეყრდნონ მასალის მოთხრობისას მხოლოდ იმას, რასაც სხვები მოუთხრობენ ბავშვების შესახებ, თუნდაც ამას სიმპატიით აკეთებდნენ.იგივე პრინციპი ვრცელდება ტერმინოლოგიის გამოყენებისას: ნეიტრალური ენა საუკეთესო გზაა. შეეკითხეთ თავად იმ ადამიანს, რომელზეც წერთ, თუ როგორ სურს მას, რომ მოიხსენიონ“[4], აღნიშნულია წიგნში.

სახელმძღვანელო გვაძლევს სასარგებლო რჩევებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშებთან მუშაობისთვის.

კიდევ ერთი წიგნი, რომელსაც სამაგისტრო შრომაზე მუშაობისას გავეცანით 2012 წელს ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით გამოიცა. დავით გზირიშვილის წიგნი “დამოუკიდებელი საქრთველო -სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემები”[5]. წიგნში მიმოხილულია, თუ რა ეტაპები გაიარა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელმა საქართველომ სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სისტემების მშენებლობის კუთხით. ავტორი ამ კუთხით სახელმწიფოს განვითარებას სამ ძირითად ეტაპად ჰყოფს: 1990-1995 წლებს იგი ინერციის პერიოდს უწოდებს და მიიჩნევს, რომ ამ წლებში საქართველოში საბჭოთა სისტემის ჯანდაცვისა და სოციალური სისტემების მოდელი ინერციით არსებობდა.

---

[3]პაიჭაძე დავით;ბავშვთა საკითხების გაშუქება, თბილისი, 2006წ. გვ:10.

[4]იქვე

[5]გზირიშვილი დავით, დამოუკიდებელი საქართველო-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სიტემები, თბილისი 2012 წ.

მომდევნო ეტაპს იგი სისტემის ცვლილების პირველ ტალღას უწოდებს და ამ ეტაპს 1995-2003 წლებით შემოსაზღვრავს.ავტორის თქმით, აღნიშნულ წლებში "პრაქტიკულად ქაოსიდან, თავიდან შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის მთელი სისტემა და სოციალური დაცვის სისტემის დიდი ნაწილი.სახელმწიფო ესწრაფოდა ორივე მთგანი მიეახლოებინა საუკეთესო ევროპული მოდელებისათვის დამახასიათებელი სოლიდარობის, თანასწორობის, უნივერსალიზმის და უზრუნველი ყოფის ტრადიციებისათვის"[6].

კიდევ ერთი ეტაპი, რასაც დავით გზირიშვილი გამოყოფს, 2004-2010წლებია. იგი ამ პერიოდს ცვლილებების მეორე ტალღას უწოდებს და ამ წლებს აფასებს, როგორც ჰიბრიდული რეფორმების წლებს, რის შემდეგაც საქართველოში სოციალური დაცვისადა ჯანმრთელობის დაცვის სისტემები გახდა ევროპული ქვეყნების სხვადასხვა ტრადიციის ნარევი.

აღნიშნული წიგნი არის უახლოესი წარსულის მიმოხილვის მცდელობა და დამოუკიდებელ საქართველოში სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი. იგი უდავოდ დატვირთულია ფაქტებით, მონაცემებითა და სხვა ქვეყნების სოციალურ სისტემებთან საქართველოს შედარებებით. თუმცა, ეს არის წმინდად სოციალური სფეროს წიგნი, სადაც ჟურნალისტური ხერხებსი და სტანდარტები არ არის განხილული (ავტორს საერთოდ არ დაუსახავს ეს მიზნად).თუმცა,იმ ჟურნალისტებისათვის, ვინც მუშაობს სოციალურ საკითხებზე, წიგნი ძალიან სასარგებლოა, რადგან იძლევა გასული 30 წლის და ამ დროის განმავლობაში სოციალური სისტემის ცვლილების ფართო სურათს.

სამაგისტრო კვლევაზე მუშაობისას მეთოდოლოგიის შესარჩევად გამოვიყენეთ თინათინ ზურაბიშვილის ავტორობით 2006 წელს გამოცემული წიგნი **თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში**[7].წიგნში ახსნილია სოციოლოგიური კვლევის სხვადასხვა მეთოდები და მოცემულია ამ მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების სასარგებლო რეკომენდაციები. კვლევისთვის ჩვენ შინაარსობრივი ანალიზის როგორც რაოდენობრივი,ისე-თვისებრივი მეთოდები გამოვიყენეთ.

---

[6]იქვე

[7]ზურაბიშვილი თინათინ, თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, თბილისი, 2006.

“კონტენტ-ანალიზი სოციოლოგიური კვლევის მეთოდია, რომლის მეშვეობითაც შეისწავლება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტი ამა თუ იმ მაჩვენებლების გამოვლენის სიხშირის დაფიქსირების მიზნით. ტერმინი ქართულად ითარგმნება, როგორც „შინაარსის ანალიზი“; ის შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე- თვისებრივი”[8].

1.2. კვლევები

კვლევების მოძიებისას, აღმოჩნდა, რომ ზოგადად სოციალური საკითხების გაშუქების შესახებ ქართულენოვანი კვლევები თითქმის არ არსებობს. ანდა არსებობს, მაგრამ მოველებულია. მაგალითად, 2011 წელს საზოგადოებრივიმაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ჩატარებულის მედიამონიტორინგის შედგები თუმც, ძალიან საინტერესოა[9], მაგრამ კვლევის მიგნებების გავრცელება 2017 წლის საზოგადოებრივ მაუწყებელზე არასწორია.

კვლევების ძიებისას შეგვხვდა ქართული ტელე და ბეჭდური მედიის არაერთი მედიამონიტორინგის ანგარიში, თუმცა აქაც არა მთლიანად სოციალური საკითხები, არამედ კონკრეტული სოციალური თემის (მაგალითად, შშმ პირების, ანდა ბავშვთა საკითხების...) გაშუქების თავისებურებებია გამოკვლეული და, ისიც, ძირითადად მხოლოდ ყოველდღიურ გაზეთებში, ანდა წამყვანი ტელეარხების (“რუსთავი2”-ის, “იმედის”, “პირველი არხის”) მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში. თუ როგორ აშუქებს ინტერნეტ მედია სოციალურ საკითხებს ზოგადად, ანდა რომელიმე სოციალურ სფეროს - ამის შესახებ მედიამონიტორინგის რაიმე ანგარიში ჩვენ ვერ მოვიძიეთ.

ქართულ ბეჭდურ და ტელე მედიაში სოციალური თემების გაშუქებაზე დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნები იმდენად საგულისხმო გვეჩვენა, რომ უპრიანად მივიჩნიეთ ზოგიერთი დასკვნის ციტირება.

მაგალითად, 2011 წელს ქართულ ბეჭდურ მედიაზე დაკვირვების შედეგად ჯანდაცვის საკითხების გაშუქების საინტერესო ტენდენციები გამოვლინდა: “წყაროების გამოყენებასთან დაკავშირებით რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა:ჟურნალისტს ან

[8]იქვე, გვ: 101

[9]მსხილაძე ქეთი, “სოციალური თემატიკა საინფორმაციო პროგრამებში”, მედიის განვითარების ფონდი, თბილისი, 2011 წ
http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Socialuri_tematika_sainformacio_gamoshvebebshi.pdf (ბოლო შესვლა 2017 წლის 5 ივლისი)

საერთოდ არ ჰყავს წყარო გამოყენებული, ან წყარო არასრულია, რაც ნიშნავს, რომ ჟურნალისტი მასალაში არ იყენებს სამ წყაროს ან სამ წყაროზე მეტს, რაც პროფესიული სტანდარტების თანახმად, აუცილებელია. შეიმჩნევა გენერალიზებული, კრებითი, მრავლობით რიცხვში წყაროს მოხსენიება. მაგალითად:„სპეციალისტები აღნიშნავენ“, “კლინიკების წარმომადგენლები“, „ბევრი კვლევაა ჩატარებული“, „სპეციალისტები ვინც ამ მოსაზრებას ავრცელებს“, „ფსიქოლოგები ამბობენ“, „ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა“, „ყველა ფრანგი სპეციალისტი“,„ამერიკელი ექსპერტები“, „სპეციალისტები“, „მეცნიერების საერთაშორისო ჯგუფი“.გენერალიზაციის შემთხვევაში, ინფორმაციის სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.რჩება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ხერხით, ჟურნალისტი ცდილობდა დაეფარა,ის, რომ არ ყავდა წყარო. სტატიებში ჟურნალისტები ხშირად რამდენიმე კომპლექსურ საკითხს ერთდროულად ეხებიან და ცდილობენ განაზოგადონ პრობლემა, მიუხედავად იმისა,რომ მასალა არ იძლევა განზოგადების საშუალებას. მაგალითად, ერთ სკოლაში აღმოჩენილი ნარკოტიკის მიხედვით, რომლითაც მოსწავლეები გაბრუებულებიიყვნენ (თუმცა ესეც არ დასტურდება ფაქტებით და მხოლოდ მასწავლებლის ეჭვად რჩება) ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ ყველა სკოლაში თბილისის მასშტაბით,საგანგაშო ტენდენციაა. ამავე სტატიაში დასმულია პრობლემა აფთიაქებში ურეცეპტოდ გაცემულ პრეპარატებზე. ორივე საკითხზე პასუხის გაცემას ჟურნალისტი სტატიაში მხოლოდ ერთ, ისიც ნაკლებად კონპეტენტურ წყაროზე (მასწავლებელზე) დაყრდნობით ცდილობს.”[10] მართალია, ამ კვლევის ჩატარების შემდეგ 6 წელი გავიდა, თუმცა, ვვარაუდობთ, რომ აღნიშნული პრობლემა კვლავ რჩება ქართული მედიის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად.

საგულისხმოა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ყოველ წლიური მონიტორონგის შედეგები. ქარტია ქართულ ტელე ონლაინ და ბეჭდურ მედიას ბავშვთა საკითხების გაშუქების კუთხით ყოველწლიურად აკვირდება. 2016 წელს მედიაში ბავშვთა საკითხების შესახებ გამოქვეყნებულ ბოლო ანგარიშში არაერთი საინტერესო მიგნება გამოიკვეთა, ჩვენ ამ მიგნებების მხოლოდ ერთ ნაწილს გთავაზობთ: “

[10]ცომაია თიკო, ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება მედიაში, მედიის განვითარების ფონდი, თბილისი, 2011 წელი; http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Coverage_of_Health_Issues_by_Georgian_Media_GEO.pdf (ბოლო შესვლა 2017 წლის 5ივლისი)

➢ პრობლემად რჩება ბავშვების გამოყენება რეკლამისა და ქველმოქმედების ობიექტებად. ხშირად ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა ონლაინ მედია საშუალებებში ქვეყნდება, მაგრამ მითითებული არ არის, რომ ტექსტი დაფინანსებულია და არ მომზადებულა სარედაქციო პასუხისმგებლობის ქვეშ.

➢ პოლიტიკოსები/სახელმწიფო უწყებები ბავშვების მძიმე სოციალურ მდგომარეობასაქტიურად იყენებენ საკუთარი პოპულარიზაციისთვის რაშიც ხელს უწყობს მედია.

➢ სოციალურ პრობლემებზე მომზადებულ მასალებში ხშირ შემთხვევაში ბავშვი ემოციის გასამძაფრებლად გამოიყენება.

➢ ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვების საკითხი უმთავრესად ქველმოქმედებისჭრილში შუქდება, მედია ცდილობს თავად მოიძიოს სახსრები მათ დასახმარებლად და აქცენტს არ აკეთებს სისტემურ პრობლემაზე, რის გამოც ბავშვებს რიგითი მოქალაქეების დახმარება სჭირდებათ.

➢ ბავშვებთან დაკავშირებით მომზადებულ მასალებში ეთიკური სტანდარტების დარღვევა რამდენიმე შემთხვევაში გამოიხატა ძალადობის მსხვერპლი ანდა სავარაუდო არასრულწლოვანი დამნაშავის იდენტიფიცირებაში.

➢ კვლავაც არაერთი მასალა გამოქვეყნდა, რითიც ბავშვების სხვდასხვა ნიშნით სტიგმატიზება მოხდა.

➢ იშვიათია საერთო მაუწყებელი, რომელსაც ერთი გადაცემა მაინც აქვს ბავშვებისთვის განკუთვნილი.

➢ საბავშვო არხების ეთერში გასული გადაცემები ვერ სთავაზობს საინტერესო და მრავალფეროვან შინაარსს სხვადასხვა ასაკის არასრულწლოვნებს”[11].

ერთადერთი მაშტაბური კლევა, რომელიც ქართულ მედიაში სხვადასხვა თემატიკის (მართლმსაჯულების საკითხები, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები, საარჩევნო საკითები, ეკონომიკა...) გაშუქებას ეხება 2011 წელს “კავკასიის

[11]“ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში, 2016 წლის 1 აპრილი -1 დეკმბერი”;საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია; თბილისი, 2017 წ; http://qartia.org.ge/wp-content/uploads/2016/12/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-20.12.pdf (ბოლო შესვლა 2017 წლის 5 ივლისი)

კვლევითი რeსურსების ცენტრის" ზედამხედველობით 7-მა ორგანიზაციამ ჩაატარა (ISFED, HRC, CDI, INTERNEWS, GIPA, CSI, CRRC)[12]. კვლევა სამ ეტაპად ჩატარდა მოიცვა როგორც ბეჭდური, ისე ონლაინ და ტელე მედია.

ქართულ მედიაში სოციალური საკითხების გაშუქების შესახებ კვლევაში ასეთი დასკვნაა გამოტანილი: "... კვლევამ „სოციალური საკითხების გაშუქება ქართულ ბეჭდურ და ტელემედიაში" აჩვენა, რომ სოციალური თემები ქართულ მედიაში არასათანადოდ შუქდება. მძიმე სოციალური ფონი ტელევიზიით მხოლოდ ისეთ სიუჟეტებში აისახება, სადაც სახელისუფლებო სტრუქტურები ან ქველმოქმედი ადამიანები სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისთვის გარკვეულ აქციებს მართავენ. არც ერთ სტატიასა და სიუჟეტში არ არის საუბარი თავად პრობლემაზე. ლაპარაკი სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებზე მხოლოდ ირიბად მიმდინარეობს და მათ არ ეძლევათ კომენტარის გაკეთების საშუალება თუ არ ჩავთვლით გაწეული დახმარების გამო მადლობის გადახდას. პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, საინტერესოა სიუჟეტებსა და სტატიებში გამოყენებული ზოგადი ტონიც, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ნეიტრალურია ტელევიზიით გადაცემული ვიზუალური მასალით უფრო მეტად დადებითი განწყობის შექმნის ფონზე.

სოციალური საკითხების გაშუქებისას მასალის უდიდეს ნაწილში ყურადღების ცენტრში დედაქალაქია მოქცეული მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ცნობილია, რეგიონებში არსებული სოციალური ფონი გაცილებით უფრო მძიმეა. მონიტორინგის პირველ ორ პერიოდში სატელევიზიო არხებითა და გაზეთებით ამ თემისადმი მიძღვნილი 77 სიუჟეტიდან და სტატიიდან 33 თბილისს შეეხებოდა, 15 ერთეულის იდენტიფიცირება რეგიონის მიხედვით არ მომხდარა, სხვადასხვა რეგიონს კი საშუალოდ სამი რეპორტაჟი და სტატია მიმოიხილავდა.[13]"

და ბოლოს, ორი წლის უკან ჩატარებული კვლევა, სადაც სოციალური თემატიკის სათანადოდ გაშუქების შესახებ საზოგადოებრივი აზრია გამოკითხული, მეტად საინტერესოდ გვეჩვენება. არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო

[12]სოციალური და ეკონომიკური საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, მონიტორინგის შედეგები; თბილისი; 2011 წ.

[13]სოციალური და ეკონომიკური საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, მონიტორინგის შედეგები; თბილისი; 2011 წ; გვ:206.

გამჭვირვალობა - საქართველოს” დაკვეთით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა საზოგადოებრივი აზრის ტრადიციული კვლევა ჩაატრა. ბევრ საინტერესო შედეგთან ერთად, გამოკითხულების მნიშვნელოვანმა ნაწილმა (67%-მა) დააფიქსირა მოსაზრება, რომ ჟურნალისტები სოციალურ თემატიკას უნდა აშუქებდნენ[14].

მაშასადამე, ბოლო 5-6 წელს ჩატარებული მედიამონიტორინგების, ასევე, საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ ქართულ მედიაში სოციალური საკითხები ხარვეზებით და არასრულფასოვნად შუქდება, არადა ქართულ მედიას საზოგადოება სწორედ სოციალური საკითხების სიღრმისეულ გაშუქებას უკვეთავს.

[14]“მოსახლეობა მედიისგან სოციალური საკითხების გაშუქებას ელის”, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი 2015 წ;http://www.transparency.ge/ge/content/stub-580 (ბოლო შესვლა 2017 წლის)

2. კვლევის მეთოდის აღწერა

კვლევის მთავარ მეთოდად გამოვიყენეთ შინაარსობრივი ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.

შინაარსიის ანალიზი,როგორც კომუნიკაციის კვლევის მეთოდი,პირველად გამოიყენესმე-19 საუკუნეში. ძირითადი მიზანი უმეტესად ახალი ამბის, დრამის, რეკლამისა და გასართობი გადაცემების კვლევა იყო მათში სოციალური და კულტურული საკითხების, ღირებულებებისა თუ მოვლენების ასახვის თვალსაზრისით.

1930 წელს Harold Lasswell-მა შეისწავლა სხვადასხვა სოციალური საკითხების გამოხატვის მედიატენდენციები, რათა ეჩვენებინა ელემენტები, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება[15]. (Harold Lasswell_ის წიგნი," ფსიქოლოგია და აქტივობა" 1930 წელი)

განსაზღვრის მიხედვით, შინაარსის ანალიზი რაოდენობითი მეთოდია. იგი გულისხმობს ტექსტის სპეციალური მახასიათებლების სიხშირის დადგენას და ამის საშუალებით,ტექსტის გზავნილების, სახეების, გამოხატვისა და მათი უფრო ფართო სოციალური მნიშვნელობის შეფასებას.

კვლევის ეს მეთოდი აერთიანებს საკვლევი მასალის დეტალურ შინაარსის ანალიზს,ასევე რაოდენობრივ კვლევას და საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების გამოკითხვას.განსაზღვრის მიხედვით, შინაარსის ანალიზი რაოდენობითი მეთოდია. იგი გულისხმობს ტექსტის სპეციალური მახასიათებლების სიხშირის დადგენას და ამის საშუალებით,ტექსტის გზავნილების, სახეების, გამოხატვისა და მათი უფრო ფართო სოციალური მნიშვნელობის შეფასებას.საკითხავი ის არის, თუ რამდენად განსაზღვრავს რაოდენობრივი მაჩვენებლები მნიშვნელობის ინტენსივობას ტექსტში, ტექსტის სოციალურ გავლენას თუ კავშირს მედია ტექსტებსა და მათ მიერ ასახულ რეალობას შორის.ცხადია, რომ შინაარსის ანალიზი, რომელიც ითვლის, რამდენჯერ მოხდა ძალადობრივი აქტი ან რამდენჯერ განმეორდა სიტყვა "ინვალიდი", ცალკე ვერ მოგვცემს ამ სიმბოლოთა მნიშვნელობის ან აზრის გაგებას ტექსტში. თუმცა, შინაარსი ანალიზი, უმეტეს შემთხვევაში, არ შემოიფარგლება "უაზრო" დათვლით. იგი თვლის

[15]"ფსიქოლოგია და აქტივობა" Harold Lasswell_ის წიგნი,1930 წელი (https://paatachakhnashvili.blogspot.com/p/2.html)

ტექსტის სპეციალურად მონიშნულ სიდიდეებს და აანალიზებს მათ შორის კავშირებს. დასაწყისში შინაარსის ანალიზი ტექსტს ყოფს შემადგენელ ნაწილებად დასათვლელად. ხოლო შემდეგ, ანალიზისა და ინტერპრეტაციის ეტაპზე კვლავ აწყობს ამ ნაწილებს, რათა გაარკვიოს, რომელი მათგანი თანხვდება კონტექსტუალურად, მიზნობრივად და მნიშვნელობით. შინაარსის ანალიზის პროცესი შედგება ექვსი ერთმანეთთან დაკავშირებულ ეტაპისგან:

- კვლევის პრობლემის განსაზღვრა
- მედიისა და ნიმუშის შერჩევა
- ანალიტიკური კატეგორიების განსაზღვრა
- კოდირების ცხრილის შედგენა
- კოდირების ცხრილის საცდელი შემოწმებასაიმედოობის თვალსაზრისით

მონაცემთა მომზადება და ანალიზი

შინაარსის ანალიზის პირველი ეტაპი არის საკვლევი პრობლემის განსაზღვრა: რა მიზანს მოემსახურება მედია ტექსტების ანალიზი? კომუნიკაციის, მედია როლების, სოციალური ფენომენის, ტექსტური მახასიათებლების რა ასპექტები გვაინტერესებს?

შინაარსის ანალიზი ტექსტების ანალიზის მეთოდია. ეს არ არის თეორია, ამიტომ იგი არ გვაწვდის მაჩვენებლებს, ტექსტის რა ასპექტები უნდა ვიკვლიოთ და როგორ უნდა ავხსნათ ისინი.ეს მაჩვენებლები მოცემულია თეორიაში, რომელიც წარმოადგენს საკვლევი დოკუმენტების ხასიათისა დასოციალური კონტექსტის კონცეპტუალიზაციას. მედიის შინაარსის ანალიზის შემთხვევაში კვლევები შეეხება მის შექმნას (მაგ. მფლობელობის გავლენა, კომერციული ინტერესები, სარედაქციო პოლიტიკა, ჟურნალისტური პრაქტიკა, ნიუსის წყაროები) დამოხმარებას (მაგ. ნიუსის როლი სოციალურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ პროცესებში ან ინდივიდუალური აუდიტორიისა თუ მკითხველის ფენომენი).

შინაარსის ანალიზი არ უნდა ჩატარდეს მხოლოდ მედია შინაარსიის კომპონენტების დათვლის მიზნით. ტექსტის კომპონენტები შეიძლება დავყოთ კატეგორიებად და დავითვალოთ. მხოლოდ პრობლემის ნათლად განსაზღვრის შემთხვევაშია შესაძლებელი კვლევის შესაბამისი ასპექტების გამოყოფა.

თემის შინაარსობრივი ანალიზის ჩასატარებლად შეირჩა სამი ქართული ინტერნეტ გამოცემა: “ლიბერალი”, “ტაბულა”, “ნეტგაზეთი”, კვლევის პერიოდია 2016 წლის იანვარი - დეკემბერი (12 თვე).

ეს ინტერნეტ გამოცემები საქართველოში ძალიან პოპულარულია, მათ ინტერნეტ მომხმარებლის დიდი უმრავლესობა ეცნობა ხოლმე და სოციალურ საკითხებსაც სხვა ონლაინ საშუალებებზე უფრო ხშირად აშუქებენ. შინაარსი შეფასდა ღირებულებების, იდეოლოგიური პოზიციის, სიზუსტისა და ინფორმაციულობის მხრივ.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ შინაარსობრივი ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი მთოდები.

რაოდენობრივი კვლევის დროს დავთვალეთ

ა) რა რაოდენობის ჟურნალისტური მასალა გამოაქვეყნა სოციალურ თემატიკაზე „ლიბერალმა“ „ტაბულამ“ და „ნეტგაზეთმა“.

ბ)პუბლიკაციების საერთო ოდენობიდან რამდენი იყო საინფორმაციო ხასიათის და რამდენი - ანალიზური.

გ) პუბლიკაციები დავაჯგუფეთ ფორმის მიხედვით - ინტერვიუ, რეპორტაჟი, თვალსაზრისი, ახალი ამბავი.

დ)თითოეულ მედია გამოცემაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები შინაარსის მიხედვით დავაჯგუფეთ. გამოქვეყნებული მასალების შინაარსზე დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ ონლაინ გამოცემები ყველაზე ხშირად ისეთი სოციალური თემატიკით ინტერესდებიან, როგორიცაა - უმუშევრობა, ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა. შესაბამისად, საკვლევ პერიოდში გამოქვეყნებული პუბლიკაციები დავაჯგუფეთ შემდეგი ქვეთემების მიხედვით:

- უმუშევრობა/დასაქმება/სიღარიბის შესახებ
- განათლების,
- ჯანდაცვის
- ადამიანის სოციალური უფლებების შელახვა (როდესაც ილახება შრომის უფლება, ჯანმრთელობის, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება ...)
- სოფლის მეურნეობა.

კვლევის დროს გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდიც, რომლის დროსაც შინაარსობრივი თემატიკის მიხედვით დაჯგუფებული პუბლიკაციები გავაანალიზეთ შემდეგი თვისებრივი კატეგორიების მიხედვით.

წყაროები -რომელი წყაროებია ყველაზე ხშირად გამოყენებული ამა თუ იმ სოციალური თემატიკის მასალებში (განათლების, ჯანდაცვის, ადამიანის უფლებების,უმუშევრობა/დასაქმება/სიღარიბის და სოფლის მეურნეობის შესახებ მომზადებულ პუბლიკაციებში).

ამ თვისებრივი კატეგორიის გასაანალიზებლად შევიმუშავეთ კვლევის ბარათი. ამ შემთხვევაში მაგალითად მოვიტანთ უმუშევრობა/დასაქმების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციების კვლევის ბარათს. სხვა ბარათები (უკვე შევსებული ციფრებით) დანართის სახით ახლავს სამაგისტრო ნაშრომს, ოღონდ მხოლოდ ონლაინ გამოცემა "ნეტგაზეთის" მაგალითზე. სამივე ონლაინ გამოცემის პუბლიკაციების საკვლევი ბარათები რომ დაგვერთო სამაგისტრო ნაშრომისათვის, გვერდების ოდენობა 120-ს გადააჭარბებდა.

კვლევის ბარათი

პუბლიკაციის სათაური, გამოქვეყნების თარიღი	წყაროები რესპონდენტები, კვლევა/სტატისტიკური მონაცემი						
	სამუშაოს მაძიებელი	სამუშაოს მაძიებლის ოჯახის წევრები	დამსაქმებელი	სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი	ექსპერტი	კვლევა	სხვა

თვისებრივი კვლევისას დავაკვირდით იმასაც,თუ რა კონტექსტში არის მოხსენიებული სოციალური საკითხების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციების რესპონდენტები.ასევე,პრობლემის რა ასპექტია უფრო მეტად წინწამოწეული და რა განწყობა შეინიშნება სოციალური პრობლემის მქონე ადამიანების მიმართ

ჟურნალისტების მხრიდან, რა შეფასებებს და ინტერპრეტაციებს იყენებენ ისინი პრობლემის გაშუქებისას.

3. კვლევის ძირითადი შედეგები

3.1. კვლევის რაოდენობრივი შედეგები:

საკვლევ პერიოდში სოციალურ თემებზე აღნიშნულ ვებ-გვერდებზე სოციალური თემატიკისადმი მიძღვნილი 65 პუბლიკაცია გამოქვეყნდა. ამათგან 22 „ლიბერალში“ , 12 -„ტაბულაში“ და 31 - “ნეტგაზეთში“ (დიაგრამა1).

დიაგრამა1



რაოდენობრივი კვლევის შემდეგ ეტაპზე თითოეული გამოცემაში სოციალური თემატიკის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციებში ცალ-ცალკე დავთვალე ანალიზური და საინფორმაციო მასალები

ბ)საინფორმაციო და ანალიზური ხასიათის მასალები

აღმოჩნდა, რომ „ნეტგაზეთში“ გამოქვეყნებულ მასალებში ახალი ამბავი იყო 21, ხოლო ანალიზური - 10 (დიაგრამა2)

დიაგრამა2



“ტაბულაში” გამოქვეყნებულ მასალებს შორის საინფორმაციო ხასიათისა იყო 11, ანალიზური კი - 1(დიაგრამა 3)

დიაგრამა 3



,,ლიბერალში“ სოციალურ თემატიკაზე გამოქვეყნებულ მასალებს შორის ანალიზური იყო 10, ხოლო საინფორმაციო -12 . (დიაგრამა 4)

დიაგრამა 4



რაოდენობრივი კვლევის შემდეგ ეტაპზე ფორმის თვალსაზრისით დავალაგეთ, როგორც საინფორმაციო, ისე-ანალიზური მასალები.სოციალურ თემატიკაზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს შორის გამოიკვეთა შემდეგი ფორმები (ჟანრები) - ახალი ამბავი, რეპორტაჟი,თვალსაზრისი და ინტერვიუ.აღნიშნული ფორმების რაოდენობრივი დათვლა მოცემულია ქვემოთ.

,,ნეტგაზეთში“ სოციალური თემატიკის შესახებ გამოქვეყნდა 13 ახალი ამბავი, 4 თვალსაზრისი, 12 რეპორტაჟი და 2 ინტერვიუ (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5



,,ტაბულაში“ საკვლევ პერიოდში სოციალური თემატიკის შესახებ გამოქვეყნდა 10 ახალი ამბავი 1 თვალსაზრისი, 1 რეპორტაჟი. ინტერვიუ სოციალური თემატიკის შესახებ “ტაბულაში” არ გამოქვეყნებულა. (დიაგრამა 6)

დიაგრამა 6



“ლიბერალში” საკვლევ პერიოდში სოციალური თემატიკის შესახებ გამოქვეყნდა 5 ახალი ამბავი, 4 თვალსაზრისი, 10 რეპორტაჟი და 3 ინტერვიუ. (დიაგრამა 7)

დიაგრამა7



კვლევის მომდევნო ეტაპზე სამივე მედია საშუალებაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები თემატურ შინაარსობრივ ჯგუფებში განვათავსეთ. პუბლიკაციები დაჯგუფდა შემდეგ შინაარსობრივ ჯგუფებში - ადამიანის სოციალური უფლებები; განათლების შესახებ პუბლიკაციები; ჯანდაცვის საკითხების შესახებ პუბლიკაციები; სოფლის მეურნეობის შესახებ პუბლიკაციები

შინაარსის მიხედვით დაჯგუფებისას აღმოჩნდა, რომ სოციალური თემატიკის შესახებ "ნეტგაზეთმა" 9 პუბლიკაცია ადამიანის სოციალური უფლებების დარღვევის შესახებ გამოაქვეყნა, 9 პუბლიკაცია განათლებას მიუძღვნა, ჯანდაცვაზე - 7, ხოლო უმუშევრობა/დასაქმებაზე - 6. სოფლის მეურნეობის შესახებ "ნეტგაზეთს" საკვლევ პერიოდში არაფერი გამოუქვეყნებია (დიაგრამა 8).

დიაგრამა8



"

განსხვავებული თემატური პრიორიტეტები აღმოაჩნდა „ტაბულას". ამ გამოცემამ ადამიანის სოციალური უფლებების შელახვას 3 პუბლიკაცია მიუძღვნა, განათლებას, ასევე, -3; ჯანდაცვასაც -3; უმუშევრობა/დასაქმებას მხოლოდ 1, სოფლის მეურნეობას კი - 2.(დიაგრამა 9)

დიაგრამა 9



„

„ლიბერალის“ ჟურნალისტებმა საკვლევ პერიოდში სოციალური საკითხების შესახებ შემდეგი თემატური მასალები შემოგვთავაზეს. ადამიანის უფლებებზე-7 პუბლიკაცია; განათლებაზე-5; ჯანდაცვაზე- 8; უმუშევრობა/დასაქმებაზე-2 ; სოფლის მეურნეობაზე კი არც ერთი. (დიაგრამა 10)

დიაგრამა 10



მაშასადამე, შინაარსობრივი ანალიზის რაოდენობრივი მეთოდით კვლევამ აჩვენა,რომ სამივე მედია გამოცემას სოციალური თემატიკის გაშუქების დაახლოებით ერთნაერი სტილი აქვს.სამივევ მათგანი უპირატესობას საინფორმაციო ხასიათის მასალების მომზადებას ანიჭებს.ფორმის თვალსაზრისით გარკვეული ერთფეროვნება შეინიშნება,ჭარბობს ახალი ამბები და რეპორტაჟი, გაცილებით უფრო მცირეა ანალიზური მასალების ოდენობა და აქაც მხოლოდ თვალსაზრისის ტიპის პუბლიკაციები შეგვხვდა.პოპულარულ ჟანრ-ინტერვიუს მედია პორტალები

სოციალური საკითხების გაშუქებისას იშვიათად იყენებენ.ფორმის თვალსაზრისით შედარებითი მრავლფეროვნება “ლიბერალს” ახასიათებს. აქ საკვლევ პერიოდში 10 თვალსაზრისი და 3 ინტერვიუ გამოქვეყნდა, რაც “ნეტაგზეთისა” (4/2) და “ტაბულას” (1/0) იგივე მაჩვენებლებს ჭარბობს და ადასტურებს იმას, რომ რედაქციაში ამ მიმართულებით მასალებს უფრო უკეთ გეგმავენ.

საგულისხმოა ის თემატური პრიორიტეტები, რაც სამივე გამოცემამ სოციალური საკითხების შესახებ პუბლიკაციებში გამოავლინა. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ “ნეტაგზეთს” თანაბრად აინტერესებს განათლების საკითხები და ადამიანის სოციალური უფლებების შელახვა, თითქმის ასეთივე ინტერესი აქვს ჯანდაცვის საკითხებისა და დასაქმება/უმუშევრობის მიმართ.

“ტაბულა” სიხშირის თვალსაზრსით სოციალურ საკითხებს ყველაზე უფრო ნაკლები ინტენსივობით აშუქებს და აქაც თანაბარ ყურადღებას უთმობს როგორც ადამიანის სოციალური უფლებების შელახვას, ასევე განათლებისა და ჯანდაცვის საკითხებს. “ტაბულას” ინტერესის სფეროში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხებიც მოექცა (2 პუბლიკაცია), ყველაზე ნაკლებ ყურადღებას რედაქცია დასაქმება/უმუშევრობის პრობლემას აქცევს.

თემატური პრიორიტეტის თვალსაზრისით “ლიბერალს” ყველაზე მეტად ჯანდაცვის საკითხები აინტერესებს, შემდეგ ადამიანის სოციალური უფლებების შელახვა და განათლება. უმუშევრობა/დასაქმებას “ლიბერალიც” ნაკლებ ყურადღებას აქცევს, სოფლის მეურნეობის შესახებ კი, “ნეტგაზეთის” მსგავსად, “ლიბერალს” არც ერთი პუბლიკაცია არ გამოუქვეყნებია.

3.2 კვლევის თვისებრივი შედეგები

თვისებრივი კვლევის მთავარ საზომად სოციალურ თემებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების წყაროთა ანალიზი ავირჩიეთ. ჩვენ მიერ დამუშავებულმა მედიამონიტორინგის ანგარიშებმა ცხადყო, რომ გაშუქების სპეციფიკის აღსაწერად ერთ-ერთი ყველაზე ინფორმაციული გზა იმის დადგენაა, თუ ვის უთმობს რედაქცია ყველაზე მეტ დროსა და ადგილს ამა თუ იმ სოციალურ პრობლემაზე სასაუბროდ. მაგალითად, ზოგიერთ კვლევაში ჩანდა, რომ ბავშვთა საკითხებზე მუშაობისას, ჟურნალისტები ყველაზე იშვიათად სწორედ ბავშვებს აძლევდნენ აზრის გამოთქმის საშუალებას; ანდა შეზღუდული საჭიროების მქონე პირების შესახებ მომზადებულ ჟურნალისტურ მასალებში ყველაზე ნაკლებად თავად შშმ პირები ჩანდნენ. ამ ტენდენციის კვლადაკვალ, გადავწყვიტეთ, გამოგვეკვლია, თუ რომელ რესპონდეტებს უთმობენ ყელაზე უფრო დიდ დროს ჩვენ მიერ შერჩეული მედია პორტალები.

მას შემდეგ, რაც სოციალური თემატიკის შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს გავეცანით, გადავწყვიტეთ წყაროები დაგვეყო სოციალური ქვეთემების (დასაქმება/უმუშევრობა, განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და ადამიანის სოციალური უფლებების შელახვა) მიხედვით. თითოეულ ქვეთემას თავისი სპეციფიკური რესპონდენტი ჰყავს.უმუშევარი, ან სამუშაოს მაძიებელი - პუბლიკაციებს, რომელიც უმუშევრობას ეხება. პაციენტი, ანდა ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები უნდა ჩანდნენ იმ პუბლიკაციებში, რომლებიც ჯანდაცვას ეხება. სკოლამდელი აღსაზრდელები, სკოლის მოსწავლეები, ანდა სტუდენტები განათლების შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.

ამდენად, გმირი, ანდა გმირის ოჯახის წევრი უნდა ჰყავდეს რესპონდენტად ყველა სოციალურ ქვეთემაზე მომზადებულ ჟურნალისტურ მასალას. ასეთ მასალებში, სტანდარტის მიხედვით, უნდა არსებობდეს მოპასუხე მხარეც, რათა დაცული იქნას ბალანსი. გარდა ამისა, სასურველია, რომ მასალაში გამოყენებული იყოს ამონარიდები სპეციფიური სოციალური თემატიკის შესახებ არსებული კვლევებიდან, ასევე, გვთავაზობდნენ კვალიფიციური პირების, ექსპერტების, შეფასებებს. ექსპერტის შეფასებები და კვლევებზე დაყრდნობა ჟურნალისტურ მასალას სიღრმისეულობას

ჰმატებს, ამდენად თვისებრივი კვლევისას ეს კრიტერიუმებიც შევიტანეთ კვლევით ბარათში.

და ბოლოს, თვისებრივი კვლევის კომპონენტებად განვსაზღვრეთ შემდეგი შინაარსობრივი კატეგორიები-

პუბლიკაციის ტონი (დადებითი, უარყოფითი, ნეიტრალური) და ყოველი პუბლიკაცია გავაანალიზეთ იმის მიხედვითაც, იყო, თუ არა გამოყენებული დისკრიმინაციული ეპითეტები, ანდა - კონტექსტი.

თვისებრივი კვლევის შედეგები დავალაგეთ არა მედია პორტალების, არამედ სოციალურ საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების თემატიკის მიხედვით.

უმუშევრობა/დასაქმების,სიღარიბის შესახებ პუბლიკაციები

„ნეტგაზეთი“

